

საქართველოს ს.ს.რ.



საბჭო. რესპუბლიკის

გუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და მკონსოლიდაციური საბჭოს
სამსმეთა მმართველობის გამოსცემა

1931 წ. ივნისის 10.

№ 9

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სრულიად საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-VI ყრილობის დადგენილებანი.

91. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლის შესახებ.

92. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ცვლილებების შეტანის შესახებ.

93. საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ.

94. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა და კოლექტივიზაციის ამოცანების შესახებ.

95. საყოველთაო საველეებულო პირველ-დაწყებითი სწავლების მსვლელობის შესახებ.

96. ამიერკავკასიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

სრულიად საქართველოს გუშაგისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-VI ყრილობის დადგენილებანი

91. და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-VI ყრილობა:

ა) იმ მიზნით, რათა წარმატებით შესრულებულ იქნეს სსრკ-ის მშრომელთა წინაშე მდგარი ამოცანები ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა—სახალხო მეურნეობის ერთიანი გეგმის საფუძვლებზე—საქვიროდ სთვლის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და აფხაზეთის სოციალის-



ტური საბჭოთა რესპუბლიკის უფრო მკიდრო პოლიტიკურ და მეურნეობრივ გაერთიანებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ უკანასკნელი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული ზრდა ორივე რესპუბლიკის მუშათა და მშრომელ გლეხთა ერთად მშვიდობიანი ცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის პირობებში, და

ბ) იმისდაშესაბამისად, რომ აფხაზეთის მშრომლებთა აფხაზეთის მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-VI ყრილობაზე თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილით გადასწყვიტეს აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-9 მუხლის თანახმად აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შევიდეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გავრცელებულ იქნეს აღნიშნული ძირითადი კანონის მე-IV თავის მოქმედება.

2. საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის სსრ-ის შორის ქალაქ ტფილისში 1921 წლის დეკემბრის 16-ს დადებული ხელშეკრულება ძალადაქარგულად ჩაითვალოს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის
მდივანი ხ. თოდრია.

1931 წ. თებერვლის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 65 №-ში 1931 წ. მარტის 21.

92. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ცვლილებების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა მე-VI ყრილობა, საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ადგენს:

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-9 მუხლის მესამე ნაწილი, მე-20 მუხლის „თ“ პუნქტი, 23, 25, 40, 44, 48, 49, 54, 55, 57, 64, 78, 80 და 100 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხ. 9.** (3 ნაწ.). საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში, ზემოაღნიშნულ საფუძველზე, შედიან აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, აკარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

„მუხ. 20. [სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობას ეკუთვნის:]

თ) ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებისა და მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების გაუქმება და შეჩერება, უკეთეს დადგენილებანი არღვევენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონს (კონსტიტუციას) და საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებებს“.

„მუხ. 23. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ყრილობების წარმომადგენელთაგან, საბჭოთა სარაიონო ყრილობების წარმომადგენელთაგან და რაიონების შედგენილობაში არ-შემავალი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების წარმომადგენელთაგან, ისეთი ანგარიშით, რომ იმ დასახლებულ ადგილას, სადაც საბჭოებს ირჩევენ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თვითვე 10.000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, ხოლო იმ დასახლებულ ადგილას, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, თვითვე 2.000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი“.

„მუხ. 25. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას მოიწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ“.

მუხ. 40. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს და გააუქმოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი, სახალხო კომისრებისა და ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისა და სარაიონო საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი“.

„მუხ. 44. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოაწუბოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მონარაგებისა, შრომისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარნი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე“.

„მუხ. 45. სახელმწიფოებრივი მმართველობის იმ ცალკეული დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობას ეკუთვნის, მოეწყობა

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მომარაგებისა, შრომისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, რომელნიც მოქმედობენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებების თანახმად. იმავე ამოცანების განსახორციელებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სახალხო კომისარიატების გარდა, შეიძლება დაარსებულ იქნეს აგრეთვე სხვა ცენტრალური ორგანოები, რომელნიც უშუალოდ დაქვემდებარებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს ან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“.

„მუხ. 49. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, მომარაგებისა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, ექვემდებარებიან რა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სათანადო გაერთიანებული სახალხო კომისარიატების დირექტივებსა და დავალებებს“.

„მუხ. 54. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სახალხო კომისარიატების განკარგულებანი შეიძლება გააუქმონ სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, მისმა პრეზიდიუმმა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭომ. უკეთეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ამა ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 49 მუხლში აღნიშნული სახალხო კომისარიატების განკარგულებანი დამყარებულ არ არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმის ან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს დირექტივებზე, ამ დადგენილებების გაუქმება შეუძლიან აგრეთვე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სათანადო გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან მიცემულ დირექტივებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის კანონმდებლობას ან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას.“

„მუხ. 55. რაიონის ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის, თავისი ვაგებლობის ფარგლებში, საბჭოთა სარაიონო ყრილობას, ხოლო სარაიონო ყრილობებს შუა—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს“.

„მუხ. 57. საბჭოთა სარაიონო ყრილობა შესდგება რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლებისაგან, ისეთი ანგარიშით, რომ იმ ადგილის საბჭოსაგან, სადაც საბჭოს წევრებს მოსახლეობის საერთო რიცხვის მიხედვით ირჩევენ, თვითიველ 300 კაცზე მოდიოდეს ერთი დეპუ-

ტატი, ზოლო იმ ადგილის საბჭოსაგან, სადაც საბჭოს წევრებს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მიხედვით ირჩევენ, თვითეულ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი“.

„მუხ. 64. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები მოეწყობიან;

ა) სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, ისეთი ანგარიშით, რომ 100 მცხოვრებზე ერთი დეპუტატი მოდიოდეს;

ბ) ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობის უმეტესობა მუშებია, ისეთი ანგარიშით, რომ თვითეულ 200-დან 50-მდე ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი“.

„მუხ. 78. ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფოებრივი მმართველობის ავტონომიური დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის (განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული ზედამხედველობა და მმართველობა, მილიცია და სასამართლო) მოაწყობენ სათანადო რესპუბლიკანურ და საოლქო ორგანოებს და აგრეთვე იმ ორგანოებს, რომელნიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე განაგებენ სახელმწიფოებრივი მმართველობის გაერთიანებულ დარგებს (მიწათმოქმედება და მრეწველობა). ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან იმყოფებიან აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა, შრომისა, მომარაგებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი.

ის ორგანოები, რომელნიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში განაგებენ მიწათმოქმედებას და მრეწველობას, ექვემდებარებიან—რა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, განახორციელებენ თავიანთი მოქმედებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დირექტივებსა და დავალებებს. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, არიან—რა ამ კომისარიატების ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, ანგარიშს თავიანთ მოქმედებისას აგებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე“.

„მუხ. 80. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეამცირონ ამა ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 78 მუხლით გათვალისწინებული ორგანოების რიცხვი და ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან რამდენიმე ფუნქცია გააერთიანონ ერთი ორგანოს ხელმძღვანელობის ქვეშ“.

„მუხ. 100. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა შემოსავალი და გასავალი გაერთიანებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტად“.

2. 55 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:



„**შენიშვნა.** სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ის ქალაქები, რომელთაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები არიან, გამოიყოფებიან, მათ გვერდით მდებარე სოფელ-ადგილებით, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულებად, და ეს ერთეულები რაიონების შედგენილობაში არ შედიან. ამ ქალაქების საბჭოები უშუალოდ ექვემდებარებიან ხელისუფლების უმაღლეს რესპუბლიკანურ ორგანოებს“.

3. 64 მუხლს დაემატოს მე-3 **შენიშვნა** შემდეგი შინაარსისა:
 „**შენიშვნა.** იმ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების სიას, სადაც საბჭოს დეპუტატებს ამა მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული ანგარიშის მიხედვით ირჩევენ, დაადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც, ამასთანავე, განსაზღვრავს თვითველი ამ ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილისათვის დეპუტატების რიცხვს“.

4. 57 მუხლის **შენიშვნა**, 64 მუხლის 1-ლი **შენიშვნა**, 66 მუხლი **შენიშნითურთ**, 79 და 103 მუხლები მე-V თავი (83—91 მუხლები) ამოშლილ იქნეს.

5. მე-III თავის „ე“ კარის სათაური შეიცვალოს შემდეგნაირად: „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები: საბჭოთა სარაიონო ყრილობები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები“.

6. მე-III თავის „ე“ კარის 56, 58, 59, 60, 61, 62, 63, 69, 70 და 71 მუხლებში სიტყვები: „მაზრის საბჭოთა ყრილობაში“, „მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი“, „მაზრა“ და „მაზრის ხელისუფლება“ შეიცვალოს, შესაბამისობით, სიტყვებად: „საბჭოთა სარაიონო ყრილობაში“, „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი“, „რაიონი“ და „რაიონის ხელისუფლება“.

სრულიად საქართველოში საბჭოთა მე-VI ყრილობის
 თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
 სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის
 მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. თებერვლის 19.
 ტფილისი.

93. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა აშხ. ფ. მახარაძის მოხსენება საქართველოს სსრ მთავრობის მუშაობის შესახებ, სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელმუშღვაურთა დეპუტატების საბჭოების მე-VI ყრილობა საესეებით იწონებს მთავრობის მოქმედებას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს აქვს დიდი მიღწევები სახალხო მეურნეობის და სოციალ-კულტურული მშენებლობის განვითარების საქმეში.

მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ ხუთწლედის პირველ ორ წელში მოგვცა ზრდა 140,6%-ის რაოდენობით, წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებული—139,1%-ისა.

პროდუქციის ზრდას ადგილი ჰქონდა იმ პირობებში, რომ მუშათა რიცხვი გადიდა 87,8%-ით (გეგმით გათვალისწინებული იყო—79,8%) და მუშის შრომის ნაყოფიერება (წლიური გამომუშავება)—35,9%-ით (ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 33,5%). ამავე დროს მუშის ხელფასი ამ ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 15,1%, წინააღმდეგ გეგმით დასახული 9,2%-ისა.

ამ თვისებრივ და რიცხვობრივ მაჩვენებელთა ზრდასთან ერთად, თვალსაჩინო მიღწევებია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მხრივაც, რაც 1928-29 წ. უდრიდა 7,2%-ს და 1929-30 წელს—7,6%, წინააღმდეგ ხუთწლიანი გეგმით ნაგარაუდები 5%-ისა.

ამ მიღწევებს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ წარმოებების განუწყვეტელ საწარმო კვირაზე გადასვლის (1930 წლის ოქტომბრის 1-სათვის საქართველოს და ა/კ. სსრკ-ის მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვიდან 70,8% გადაყვანილ იქნა განუწყვეტელ საწარმო კვირაზე, და 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნა მუშათა 56,1%), სამრეწველო პროდუქტების აქტიუობის გადიდებისა და შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გაშლის პირობებში (1930 წლის ივლისის 1-სათვის მუშათა საერთო რიცხვიდან სოც. შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 80,3%, დამკერელობაში კი—46,6%).

სოფლის მეურნეობის დარგში, ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, საანგარიშო პერიოდმა მოგვცა დიდი გარდატეხა.

აღნიშნული გარდატეხა სოფლის მეურნეობის დარგში გამოიხატა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების დაჩქარებაში.

სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების პროცესის გაძლიერებამ და სოფლის სოციალ. საწარმოო ურთიერთობათა ხარისხობრივმა ცვლილებებმა შესაძლებლად გახადა სოფლის მასიური კოლექტივიზაციის საკითხის პირდაპირ და გადაჭრით დასმა. ამ მიმართულებით მიღებულ ღონისძიებათა შედეგათ განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითმა წონამ გადააჭარბა ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დასახულ გეგმას.

საანგარიშო პერიოდი, მიუხედავად 1930 წლის გაზაფხულზე საკომეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და სხვადასხვა გადახრებისა, არსებითად იძლევა ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტას.

განსაზოგადოებულ სექტორში აღნიშნული პერიოდი ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

ნათესების ფართობი მიწათმოქმედების სახკომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით გადიდა 1929 წლიდან 1930 წლამდე—610 ჰექტარიდან 1932 ჰექტარამდე, ან 223,3%-ით, კაპიტალური დაბანდება—1.131,3 ათასი მანეთიდან 3.202,6 ათას მანეთამდე. საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საერთო პროდუქცია უდრის 1930 წ.—2.299,6 ათას მანეთს. „საქ. ჩაი“-ს ხაზით ფართობის ზრდასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ჩაის საბჭოთა მეურნეობების

გამსხვილებას. 1930 წ. მოწყობილ იქნა 6 ახალი საბჭოთა მეურნეობა, 9.160 ჰექტარის ფართობზე.

ჩაის ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობების საერთო ფართობი 1930 წ. უდრიდა—17.643 ჰექტარს.

საერთოდ, ყველა საბჭოთა მეურნეობის ფართობი 1930 წელს უდრიდა—138.627 ჰექტარს. საერთო პროდუქცია მემცენარეობის დარგში უდრის 2115,5 ათას მანეთს (ზრდა წინა წელთან შედარებით უდრის 56,4%)⁶, მესაქონლეობის დარგში—755,9 ათას მანეთს (ზრდა—683,4%)⁶.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი უდრიდა 212, სადაც გაერთიანებული იყო 3.182 მეურნეობა (0,72%) 4.106 ჰექტარი მიწის ფართობით (0,32%).

1931 წლის იანვრის 10-სათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვმა მიაღწია 91.534-მდე, ე. ი. 20,8%⁶-მდე.

სოფლის მეურნეობის ელემენტების დინამიკის მთავარი მაჩვენებლები შემდეგ მიღწევებს იძლევა: მეზინდერეობის ფართობი 1928 წელს უდრიდა—793,6 ათას ჰექტარს, 1929 წ.—838,8 ათას ჰექტ., 1930 წ.—914,1 ათას ჰექტარს. ამასთან ერთად იზრდება ტექნიკურ კულტურათა ხეცდრითი წონა: 1928 წელს ის შეადგენდა 2,8%⁶-ს, 1929 წელს—3,3%⁶, 1930 წელს კი—4,7%⁶-ს.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 1932-33 წ. სამარცვლეულო კულტურათა ზრდა, 1928 წელთან შედარებით, გათვალისწინებულია 17,2%⁶-ს რაოდენობით, ფაქტურად 1930 წ. გეაქვს ზრდა 10,3%⁶-ით. ტექნიკურ კულტურათა ზრდა 1932-33 წელს გათვალისწინებულია 106,4%⁶-ით, ფაქტურად უკვე 1930 წელს გეაქვს—93,7%⁶. ამგვარად, ხუთწლიდის დავალებანი საერთოდ თითქმის შესრულებულია 1930 წელს, ბოლო ტექნიკურ კულტურათა დარგში ეს დავალებანი გადაიტეხულია.

სახალხო მეურნეობის ზრდამ, სოციალისტური ინდუსტრიის გამძალოლი როლის გაძლიერების საფუძველზე უზრუნველყო გლეხური მასების გადაჭრით მობრუნება სოციალიზმისაკენ; სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში ხუთწლიდის პირველი ორ წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისა და მთელ რიგ რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ლიკვიდაციისათვის სათანადო ნიადაგის მომზადებით საქართველოს სსრ მტკიცედ ანხორციელებს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისა და ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა გაავრცელების საქმეს. სახალხო მეურნეობის ზრდამ უზრუნველყო მეშაბათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება და უმუშევრობის მოსპობა.

ეს წარმატებანი, როგორც შედეგი მუშათა კლასის ინიციატივისა და აქტივობის, მიღწეულ იქნა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადალახვისა და პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ კლასიურ ძალთა გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში. სოციალისტური მშენებლობის მიღწევები შედეგია საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისა და დაუნდობელი ბრძოლის ორ ფრონტზე—მემარჯვენე ოპორტუნისტთან, როგორც მთავარ საფრთხესთან დღევანდელ ეტაპზე, „მემარცხენე“ გადახ-

რებთან, უპრინციპო მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკთან და მათთან შემარავებლობასთან. ხუთწლედის პირველი ორი წლის დაეაღებათა შესრულების შედეგები უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მაღალი ტემპების აღებას, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას, სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელი როლის გადიდებას, სოფლად სოციალისტური ელემენტების კიდევ უფრო მეტ ზრდას და 1931 წელში ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის დამთავრებას.

იღებს რა მხედველობაში ამ მიღწევებს, ყრილობა, ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ადგენს:

მრეწველობის დარგში.

1. მრეწველობის და ელექტროფიკაციის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1931 წლისათვის განსაზღვრულ იქნეს 85.046,9 ათ. მანეთის რაოდენობით მათ შორის: ელექტროფიკაციის ხაზით—2.770 ათასი მან. (სარაიონო სადგურები—16.000 ათ. მან., ვადამცემი ხაზები და ქვესადგურები 3.500 ათ. მანეთი, ადგილობრივი სადგურები—2.000 ათ. მან., სამცხიერო-სავაშლიკელეო მუშაობა—1.270 ათ. მან.) და მრეწველობის ხაზით—62.276,9 ათ. მან.

კერძოდ, საქართველოს სსრ-ის ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა განსაზღვრულ იქნეს 16 მილიონი მანეთით.

2. მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამიდან, რაც 62.276 ათას მან. უდრის, უდიდესი ნაწილი დანიშნულია ისეთი სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის, რომელნიც საწარმოო საშუალებებს ამზადებენ, ე. ი. ჯგ. „ა“—48.198 ათ. მან. (77,3%) და ჯგ. „ბ“, რომელიც მოხმარების საგნებს ამზადებს—14.079 ათ. მან. ანუ 22,7%.

3. უზრუნველყოფილ იქნეს 1931 წლისათვის შემდეგ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა: ფერო-მარგანეცის ქარხნისა—ზესტაფონში; ლითონის ქარხნისა—ტფილისში, ფოთის ხე-ტყის სახერხი კომბინატისა, გომის შაქრის ქარხნისა, ქუთაისის საკონსერვო ქარხნისა, მარგარინის ქარხნისა—ტფილისში, ლიტოფონის ქარხნისა—ქუთაისში, ბიტუმის ქარხნისა—ნატანებში; დამუშავება სახურავი ფიქალისა—კახეთში, ანდეზიტისა—ყაზბეგში, აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების მშენებლობა სხვადასხვა რაიონებში და აგრეთვე სხვა ახალი მშენებლობანი.

4. დამთავრებულ იქნეს 1931 წელში რიონისა და ალაზნის ჰიდროელსადგურების მშენებლობა და დაჩქარებულ იქნეს აჭარის წყლის ჰიდროელსადგურის მშენებლობის სამუშაოები.

5. განსაზღვრულ იქნეს მთელი სახელმწიფო მრეწველობის (სმუსი, მომარავების სახკომისარიატი და საუწყებო მრეწველობა) საერთო პროდუქციის მომატება 81%-ით, 1930 წელთან შედარებით, რაც ნიშნავს მთელი ხუთწლიანი გეგმის სამრეწველო წარმოების ხაზით ხუთწლედის მესამე ვადამწყვეტ წელში 88%-ით, ხოლო საწარმოო საშუალებათა დარგებში—93%-ით შესრულებას.

ახალ საწარმოთა პროდუქციისთან ერთად საერთო პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 93,5%-ით, მათ შორის: ჯგ. „ა“—78,3% და ჯგ. „ბ“—106,8%.

6. მთლად მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის ზრდა 39,7% განისაზღვროს, მათ შორის: ჯგ. „ა“—30%-ით და ჯგ. „ბ“—60%-ით. მუშათა საერთო რიცხვი განსაზღვრულ იქნეს 32.205 რაოდენობით, წინააღმდეგ—23.049-ისა 1930 წელში.

7. რადგანაც საშენ მასალათა მრეწველობის (ცემენტი, კირი, აგური, სახერხი მასალა, სახურავი ფიქალი და გზის საშენებელი მასალა) პროგრამის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საშენი მასალის წარმოების დარგში მოცემულ დავალებათა შესრულებას, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს 1931 წელში იმ ქარხნების ექსპლოატაციის დაწყება, რომელთა შენებაც ამჟამად სწარმოებს, და ამასთანავე კაპიტალურად გადააკეთოს არსებული ქარხნები და გაადიდოს მათი გამოყენების კოეფიციენტები იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს მშენებლობის საეკსპედიტორული დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების საშენი მასალით.

8. დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველყოს ჩვენი მრეწველობის საექსპორტო და საიმპორტო დარგების პროგრამის მაქსიმალურად შესრულება (ბარიტი, დიატომიტი, ანდეზიტი, ფანერა, მანქანათ-მშენებლობა, მარგანეცი).

9. დაევალოს სმუს შეამციროს სათბობი მასალის ხარჯვის ნორმები მრეწველობის ხაზით არა ნაკლებ 15%-ისა.

10. 1931 წლის კაპიტალურ სამუშაოთა ცენტრალურ ამოცანად ცნობილ იქნეს მრეწველობაში დაბანდებულ-საშუალებათა აქტივიზაცია; დაევალოს სმუს და მომარაგების სახკომისარიატს აწარმოონ ახალი ობიექტების მშენებლობა ისეთი ტემპებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს 1931 წელში ამჟამად მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოთა ექსპლოატაციის დაწყება.

11. ვინაიდან საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ყრილობა საპიროდ სცნობს, რათა მუშაობა ნავთის საბადოების გამოკვლევისა და ექსპლოატაციის დარგში გაშლილ და გაფართოებულ იქნეს სწრაფი ტემპით როგორც იმ რაიონებში, სადაც ეს მუშაობა უკვე სწარმოებს (მირზაანი, მცირე შირაქი), ისე იმ რაიონებში, სადაც წინასწარმა გეოლეგიურმა კვლევამ დაამტკიცა ღრმა ბუნების საპიროება (კილაკუპრა, მლაშის-ხევი, ქისტაური, ზემო-გოდაშენი, ილდოკანი, გური, სამხრეთ-ოსეთი, ტფილისის რაიონი, ბაღდათის რაიონი და სხვ.). ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნეს 1931 წელში გეოლეგიურ-საგამოკვლევო სამუშაოთა ჩატარება საქართველოს ყველა ნავთიან ადგილებში.

ამ მიზნით საპიროდ იქნეს ცნობილი „საქართველოს ნავთ“-ის მიერ 1931 წლის საწარმო პროგრამის (18 ათასი მეტრის გაბურღვა) სრული შესრულება. წინადადება მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველყოს ნავთის სამუშაოები სათანადო საგზაო მშენებლობით და აგრეთვე მიიღოს ენერჯული

ზომები „საქ. ნიეთ“-ის სხვადასხვა საშენი მასალით, მოწყობილობით და სატრანსპორტო საშუალებებით მომარაგებისათვის.

12. სარეწაო კოოპერაციაში ჩაბმულ შინა-მრეწველთა და ხელოსანთა პროდუქცია 1931 წლისათვის განისაზღვროს არა ნაკლებ 78,2 მილ. მანეთის რაოდენობით, წინააღმდეგ 38,2 მილ. მან. 29-30 წელში, ე. ი. საერთო პროდუქციის ზრდა დასახულ იქნეს არა ნაკლებ ვიდრე 104,7%-ით.

მაქსიმალური ზრდა გათვალისწინებულ იქნეს ისეთ დარგებში, რომელნიც არადეფიციტურ მასალებზე მუშაობენ. არადეფიციტურ მასალებზე მომუშავე მრეწველთა და ხელოსანთა ზვედრითი წონა 1931 წელს გადიდებულ იქნეს არა ნაკლებ ვიდრე 56,4%-ით, წინააღმდეგ 37%-ისა 1930 წელში.

სოფლის მეურნეობის დარგში.

1. ყრილობა ავალებს მთავრობას:

ა) სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მიიღოს საკურო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობის დარგში მანებლეობთან ბრძოლას, აგრო-დაზმარების უკეთეს ნიადაგზე დაყენებას, მინერალური სასუქის მომარაგებას და სხვა საკურო აგრიკულტურული ღონისძიებების ჩატარებას;

ბ) მიაქციოს სათანადო ყურადღება მუშა-საქონლით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას, საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას და საძოვრების საკითხის მოწესრიგებას;

გ) მიიღოს ენერგიული ზომები ტყეების მოვლა-პატრონობისა და მათი რაციონალური გამოყენებისათვის;

დ) მიიღოს გადაწყვეტი ზომები მრეწველობის ძირითადი ბაზის ტექნიკური კულტურების გავრცელება-გაფართოებისათვის, პროდუქტიული მესაქონლეობის აღორძინება-განვითარებისათვის და საბოსტნე კულტურების ფართობის გადიდებისათვის მუშათა მომარაგების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით;

ე) გადაამუშაოს და შეასწოროს სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ტექნიკურ კულტურათა ზვედრითი წონის გადიდების მიზნით;

ვ) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მელიორაცია-ირიგაციას, რამაც 1931 წელს უნდა მოგვეცეს ფართობის ახალი გამოსავალი 25.600 ჰექტაროდენობით.

2. საგზააუბლო ნათესები 1931 წ. საერთოდ, წარსულ წელთან შედარებით, გადიდებულ იქნეს 18%-ით.

3. ტექნიკური კულტურების ნათესი გადიდებულ იქნეს 1931 წ. გაზაფხულისათვის 129.700 ჰექტარამდე, ე. ი. შედარებით წინა წელთან—200%-ით, და საერთოდ მისი ზვედრითი წონა 1931 წ. უნდა აღწევდეს 14,8%-მდე.

4. ბოსტნების, ბალჩების და კარტოფილის ნათესი ფართობი 1931 წელს გადიდებულ იქნეს 43 ათას ჰექტარამდე (95%).

5. ზემოაღნიშნულის მიხედვით, სამარცველულო კულტურების ნათესი ფართობი შემცირებულ იქნეს, წინა წელთან შედარებით—5%-ით, ხოლო, კერძოდ, სიმინდის ფართობი—8,5%-ით ტენიკურ კულტურათა თვალსაზრისით გადიდების ანგარიშზე. 1931 წ. სამარცველულო კულტურათა ზედრითი წონა დაყვანილ იქნეს 76,8%-მდე, ტენიკურ კულტურათა წონა გადიდებულ იქნეს 14,8%-მდე და დანარჩენ კულტურათა კი—8,4%-მდე.

6. 1931 წელს ხეხილის ახალი ნარგავების ფართობი განისაზღვროს 5.500 ჰექტარით.

7. მომზადებულ იქნეს ჩანსათვის ნიადაგი 20 ათასი ჰექტარის ფართობზე, აქედან 1931 წელს ჩაი დაითესოს 16.700 ჰექტარზე.

8. საბჭოთა მეურნეობების საერთო ფართობი 1931 წ. გადიდებულ იქნეს 254 ათას ჰექტარამდე.

9. მიღებულ იქნეს სათანადო ზომები მეცხოველეობის განსავითარებლად, განსაკუთრებით საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, სადაც მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 1931 წ. გადიდებულ იქნეს 28.700 სულამდე; ღორების რიცხვი—35.000 სულამდე, ცხვრის 101.500 სულამდე; ამავე დროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში უნდა გარდაიქცეს თავიანთ რაიონებში მსხვილ სასაქონლო მეცხოველეო ორგანიზაციებად. რაიონებში მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოახდინონ სათანადო გავლენა წერილ გლეხურ მეურნეობაზე.

10. მიეჭცეს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობაში იარაღ-მანქანების გაპოყენებას, განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სოციალურ-ტენიკური რეკონსტრუქციისათვის.

11. მასიურ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს კონტრაქტაციის გეგმების მთლიანი შესრულება—ამ საქმეში კოლმეურნე, ღარიბ და საშუალო გლეხების აქტიური ჩაბმით.

12. სოფლის მეურნეობაში მშენებლობის წარმატებით ჩატარების მიზნით წარმოებულ იქნეს მასიური მუშაობა ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისათვის, რათა ადგილები თავის დროზე შეუდგენ საშენი მასალის დამზადებას.

13. კადრების მომზადების მიზნით მოწყობილ იქნეს გადასამზადებელი კურსები ადგილობრივ მუშაკებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიეჭცეს კოლმეურნეობებისათვის საჭირო კადრების უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებას.

დაევალოს შრომის სახკომისარიატს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობის მუშა-ხელით მომარაგების საქმეს.

14. უზრუნველყოფილი იქნეს არსებულ კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება, და მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე 1931 წ. გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს კოლექტივიზაციის % გადიდებულ იქნეს საშუალოდ 30%-მდე, დასმულ იქნეს საკითხი კოლმეურნეობათა მიერ, ერთის მხრით, ნედლეულის პრობლემის გადაჭრის შესახებ ამაჟამად არსებული და ახლად გასაშენებელი ტენიკური სპეციალური კულტურების განვითა-

რების საფუძველზე და, მეორეს მხრით, — პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების შესახებ. მიღებულ იქნეს ზომები, რათა საქართველო, ინდუსტრიალურ-აგრარულ ჭეყნად გადაქცევისთან ერთად, შეიქნეს აგრეთვე ძვირფას ნედლეულ მასალათა რაიონად სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საფუძველზე.

სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა განვითარება, სამარცვლეულო კულტურათა განდევნის ხარჯზე, მოითხოვს მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას, ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის გარდაქმნას და მშრომელი მასების ინიციატივის ფართოდ გამოყენებას ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

ამ მიზნით მიენდოს მთავრობას 1931 წ. ივლისისათვის დაამთავროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაცია.

15. სერთოდ მესაქონლეობის განვითარებისა, კერძოდ კი მესაქონლეობის კოლექტივიზაციის გაძლიერების მიზნით, 1931 წელს საკვები კულტურების ნათესი ფართობი გადიდებულ იქნეს 44.700 ჰექტარამდე, ე. ი. 29⁹/₁₀-ით, გასულ წელთან შედარებით. აქედან: საბჭოთა მეურნეობებში — 16⁹/₁₀-ით, კოლმეურნეობებში — 34⁹/₁₀-ით, აგრეთვე დასილოსებულ იქნეს 175.000 ტონა საკვები და გადიდებულ იქნეს ბუნებრივი საძოვრებისა და სათიბების ფართობი.

16. სოციალისტური მიწათმოქმედების ფართოდ წარმოებამ საქართველოში უნდა მოამზადოს შესაფერისი პირობები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

17. აღებულ იქნეს ჩქარი ტემპი მიწათმოქმედების დარგში, განსაკუთრებით სოციალისტური სექტორის ხაზით.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ყველა ამ ღონისძიებათა მიღება კიდევ უფრო დააჩქარებს ჩვენი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას, მოამზადებს ნიადაგს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების განვითარებას და კიდევ უფრო გააძლიერებს კავშირს მუშებისა და გლეხების ფართო მასებს შორის.

საგზაო მშენებლობის დარგში.

სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ტრანსპორტი ერთი მთავარი ფაქტორთაგანია. ამიტომ მთავრობის ყურადღება საგზაო მშენებლობის დარგში უნდა მიექცეს უმთავრესად დაშორებულ რაიონებს, სადაც ეს მშენებლობა გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია.

კოოპერაციის დარგში.

1. კოოპერაციის დიდი მიღწევები აქვს საქაპრო ქსელის გაფართოებისა, მოსახლეობის კოოპერაციის გავრთიანებისა და მუშათა მომარაგების საქმეში! მაგრამ ამავე დროს კოოპერაციის მუშაობაში არის მთელი რიგი დეფექტებისა, რაც აუცილებლად გამოსწორებულ უნდა იქნეს.

ამიტომ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღებას, მუშათა მომარაგების საქმის უკეთესად დაყენებას, მოსახლეობის

კოოპერაციაში გაერთიანების გაძლიერებას, კოოპერატიულ ბრუნვაში ლეონის თავისუფალი სახსრების მეტ მიზიდვას, კლასიური ხაზის სწორად გატარებას და საერთოდ სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის კიდევ უფრო გაძლიერებას ვაჭრობაში.

2. სოფლის მომხმარებელ საზოგადოებებში საქონლის გამყიდველთა დანიშნვის სისტემა შეცვლილ იქნეს საარჩევნო სისტემით. საჩქაროდ დამთავრდეს მუშათა ერთიანი სამომხმარებლო) კოოპერაციიდან სატრანსპორტო კოოპერაციის გამოყოფა და მისი მუშაობის სათანადოდ დაყენება.

3. დაევალოს მთავრობას მიიღოს გადაამჭრელი ზომები სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით საბჭოთა მეურნეობების და ქალაქის საგარეუბნო მებოსტნეობის გაძლიერებისათვის.

სახალხო განათლების დარგში.

1. საანგარიშო პერიოდი ხასიათდება დიდი მიღწევებით სახალხო განათლების დარგში. 1930 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისა და სკოლების პოლიტეხნიზაციის ჩატარების შესახებ.

დაევალოს მთავრობას მიიღოს გადაწყვეტი ზომები საყოველთაო სავალდებულო სწავლების საფუძვლით გატარებისა, სკოლების პოლიტეხნიზაციისა და წერა-კითხვის უკოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის 1931 წლის განმავლობაში.

2. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ ჩამორჩენილ რაიონებს, სადაც წერა-კითხვის ცოდნის დონე მეტად დაბალია.

3. რადგანაც მთელი რიგი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა რეორგანიზაცია გატარდა 1930 წელს, ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო მოწყობილობით, ბინებით და საბელმძღვანელოებით და ამასთანავე სტუდენტობას არა აქვს საცხოვრებელი ბინები, მიენდოს მთავრობას მიიღოს გადაწყვეტი ზომები ყველა ამ ნაკლის გამოსასწორებლად და კარგების მომზადების საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში.

1. სახალხო ჯანმრთელობას თვალსაჩინო მიღწევები აქვს საანგარიშო პერიოდში: გაიზარდა საექიმო წერტილების ქსელი, განსაკუთრებით სოფლებში, გაუმჯობესდა ხარისხი საექიმო დახმარებისა და სხვა.

ამავე დროს კიდევ არის ისეთი რაიონები, სადაც ეს საქმე ვერ არის სათანადოდ დაყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია შორეული რაიონების მდგომარეობა.

ამიტომ ყრილობას საჭიროდ მიაჩნია სასოფლო საექიმო დაწესებულებათა ქსელის კიდევ მეტად გაფართოება, არსებულ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და საფერწო პუნქტების საექიმო პუნქტებად შეცვლა.

ამასთან ერთად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს საერთო სანიტარული ზედამხედველობა და პროფილაქტიური ღონისძიებანი.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღარიასთან ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა საერთო ღონისძიებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ამ სენთან წარმატებით ბრძოლა. აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქნეს ბრძოლა პელაგრასთან.

3. მიექცეს სერიოზული ყურადღება დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას და მუშა-ახალგაზრდობის გაჯანსაღების მიზნით — ფიზკულტურის საქმის უფრო დაყენებას.

4. საკურორტო საქმე უნდა იღვეს მთავრობის ყურადღების ცენტრში. უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო კურორტების მშენებლობა და მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი კურორტები.

რაიონების ეკონომიურ-კულტურული გაძლიერების დარგში.

1. ოლქების ლიკვიდაციისა და ცალკე რაიონების გამოყოფის ერთი მთავარი მიზანი იყო რაიონების ეკონომიურად მეტი გაძლიერება, მათი კულტურული ღონის ამოღება და ამაირად სოციალისტური მშენებლობის წარმატებით წარმართვა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ეს მთავარი ამოცანა ჯერ კიდევ არაა შესრულებული.

ამიტომ რაიონები გაძლიერებულ უნდა იქნენ ეკონომიურად, რისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და რაიონების მომუშავე კადრებით უზრუნველყოფას; ამასთანავე გაძლიერებულ უნდა იქნეს კავშირი და ხელმძღვანელობა რაიონებისადმი მათი ეკონომიურ-კულტურული ღონის ამოღების მიზნით.

დაევალოს მთავრობას მიიღოს სათანადო ზომები საქართველოს სს რესპუბლიკაში შემაჯავლი ავტონომიური ერთეულების სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების გაძლიერებისათვის.

საბჭოთა აპარატი.

1. საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების საქმეში არის თვალსაჩინო მიღწევები (აპარატის გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან, მისი რაციონალიზაცია და სხვ.) მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამიტომ დაევალოს მთავრობას სათანადო სიმტკიცით აწარმოოს მომავალში ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და მავნებელ ელემენტებთან.

2. დაევალოს მთავრობას მიიღოს სათანადო ღონისძიება საბჭოთა აპარატის მუშაობის გაჯანსაღებისათვის მასში მუშათა და გლეხთა მასების აქტივის ფართოდ ჩაბმით, რათა ამ აპარატის მუშაობა სავსებით შეეფერებოდეს რეკონსტრუქციის პერიოდს.

3. რადგანაც პარტიის და ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ფაქტიურად შესრულების შემოწმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დაევალოს მთავრობას უახლოეს დროში გადასდგას სათანადო ნაბიჯები ამ შემოწმების რეალურად განხორციელებისათვის.



წითელი ჯარი.

საბჭოთა ხელისუფლება წინააღმდეგია ყოველგვარი ომისა და მტკიცედ აღგია მშვიდობიანობის პოლიტიკას.

მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნები ვერ ურიგდებიან საბჭოთა რესპუბლიკების არსებობას დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და საერთაშორისო რეაქცია ემხადება თავდასხმისათვის.

ამის გამო ყრილობა ავალებს მთავრობას განაგრძოს მუშაობა წითელი არმიის განმტკიცებისათვის, მიიღოს სათანადო ზომები მოსახლეობაში თავდაცვის უნარიანობის აწვევისათვის და წითელი არმიის ნაწილების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნავს რა საერთოდ დიდ მიღწევებს ეკონომიურ-კულტურულ დარგში, ყრილობა ავალებს მთავრობას უზრუნველყოს კიდევ უფრო სწრაფი ტემპები ქვეყნის წინსვლისათვის სოციალისტური მშენებლობის გზაზე, რაც შესაძლებელია კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე დაცვით და ამ ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით: მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვერლობა, შეგებებული გეგმები, საზოგადოებრივი ბუქსირი) უფრო გაძლიერება, შემოღება მთელი რიგი სოციალისტური ღონისძიებებისა (განუწყვეტელი საწარმოო კვირა, 7 საათის სამუშაო დღე) უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას და ხუთწლედის ოთხ წელისწინაში შესრულებას.—

სრულიად საქართველოს საბჭოთა

მე-VI ყრილობის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა

მე-VI ყრილობის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. თებერვლის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 72 №-ში 1931 წ. მარტის 29.

94. დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიისა და კოლექტივიზაციის ამოცანების შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელმეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების მე-VI ყრილობა, იღებს რა მხედველობაში, რომ 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია წარმოადგენს ხუთწლედის მესამე გადაწყვეტი წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას და რომ მისი ჩატარებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატება, ადგენს:

1. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სფეროში მიღწეული შედეგების საფუძველზე (1930 წლის 1-ლ იანვრისათვის საქართველოს კოლმეურ-

ნეობებში გაერთიანებული იყო ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობები 6,5⁰/₀, ხოლო 1931 წლის თებერვლის 10-თვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია რაოდენობა უკვე 23,3⁰/₀-ს უდრის) და იმ ძირითადი ამოცანის მიხედვით, რომ ხუთწლეულის დამლევისათვის კოლექტივიზაცია არსებითად დამთავრებულ უნდა იქნას, მეორე ბოლშევიკური განაფუხლის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად უნდა გარდაიქცეს საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებული მშენებლობა, სამანქანო სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოება და მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კოლმეურნეობებისაკენ მისწრაფების ახალი ტალღის ორგანიზაცია.

2. როგორც სოციალისტური პეტორის შემდგომი ზრდისა და განმტკიცებისა, ისე ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობათა გაძლიერების საფუძველზე განაფუხლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უნდა უზრუნველყოფოს მრეწველობის ნედლეული ბაზისის—ტეხნიკური კულტურების—გაფართოება მარცვლეული კულტურების შევიწროებით, ბალ-ბოსტნეული კულტურების ნათესების გაფართოება და ტეხნიკური კულტურების რაიონებში მარცვლეული პროდუქტების შეზიდვა.

3. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მესაქონლეობის გაძლიერება მუშათა მომარაგების პრობლემის გადასაჭრელად და ნედლეულით მრეწველობის დასაკმაყოფილებლად.

4. მესაქონლეობის პრობლემის გადასაჭრელად უნდა შეიქმნეს საკვებ საშუალებათა მტკიცე ბაზისი (ნათესი ბალახები, ფესვნარი და ძირკვნარი და სასოფლო კულტურები) ნათესების გაფართოებით 44,7 ათას ჰექტარამდე (გასულ წელთან შედარებით 290⁰/₀ გადიდება) იმ ვარაუდით, რომ აქედან არა ნაკლებ 50⁰/₀-ისა მოდიოდეს განსაზოგადოებულ სექტორზე.

5. აღნიშნული ამოცანების მიხედვით 1931 წლის განაფუხლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს უნდა გეკონდეს შემდეგი მაჩვენებლები: ა) განაფუხლის ნათესების საერთო ფართობი მიღწეულ უნდა იქნეს 759,4 ათას ჰექტარამდე (გასულ წელთან შედარებით ზრდა 18⁰/₀-ით) აქამდე გამოუყენებელი მიწების დამუშავებით და უკვე არსებული სახნავ-სათესი მიწების უფრო მთლიანად და მიზანშეწონილად გამოყენებით, ბ) ტეხნიკური კულტურების (ბამბა, ბოკოვანი მცენარეები, თამბაქო ზეთოვანი და ეთეროვანი) ნათესები გადიდებულ უნდა იქნეს 129,700 ჰექტარამდე, რაც გასული წლის ნათესების ფართობს 200⁰/₀-ით აღემატება, აქედან კერძოდ ბამბის ნათესების ფართობი მიღწეულ უნდა იქნეს 20.000 ჰექტარამდე (ზრდა 90⁰/₀ ით), თამბაქო—25.900 ჰექტარამდე და სოია 100.000 ჰექტარამდე (აქედან 50.000 ჰექტარი შეურეველი ნათესი, გ) ბალ ბოსტნებისა და კარტოფილის ნათესების ფართობი მიღწეულ უნდა იქნეს 43.000 ჰექტარამდე (ზრდა 95⁰/₀-ით), დ) მარცვლეულ კულტურათა ნათესების ფართობი განსაზღვრულ უნდა იქნეს 5⁰/₀-ით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს იყო, ე) ნათესლე ნათესების ფართობი მიღწეულ უნდა იქნეს 19.000 ჰექტარამდე.

6. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხეხილის ახალ ნარგავთა გაშენება სუბტროპიკულ მცენარეებთან ერთად 5.500 ჰექტარამდე; ჩაის პლანტაციებისათვის უნდა შემზადდეს 20.000 ჰექტარი.

7. ფართოდ მოეწყოს მეთესლეობის მეურნეობები და სანერგებები ზრდილისათვის სათესლე მასალისა და ნერგების დასამზადებლად; უზრუნველყოფილი იქნეს ჩვეულებრივი თესლის სავსებით შეცვლა ჯიშისა და გაუმჯობესებული თესლეულობით.

8. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხვედრითი წონა გაზაფხულის ნათესებში მიღწეულ იქნეს 35%-მდე, კერძოდ ტენიკური კულტურებისა 60%-მდე, ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესებისა 44%-მდე და მარცვლეული კულტურებისა 29%-მდე.

9. რადგანაც კონტრაქტაცია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ერთი უძლიერესი ფაქტორია, ამიტომ ფართოდ გაიშალოს მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის გარშემო, კერძოდ ტენიკური კულტურებისა და ბოსტნეულობის საგაზაფხულო ნათესების კონტრაქტაციის გარშემო საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. 3. (ბ) ც. კ. დადგენილების საფუძველზე (1931 წლის გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ).

10. აღნიშნულ დავალებათა შესრულებისათვის განხორციელებულ უნდა იქნეს ფართოდ გაშლილი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მთელი მუშაობის მაღალ ხარისხთან მიზიდვას: მოსავლიანობის გადიდება, პირუტყვის პროდუქტობის ზრდა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მანქანების სრული დატვირთვა, თვითღირებულების შემცირება, დანაკარგებთან ბრძოლა, თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის დროზე გაშლა, სასოფლო-სამეურნეო კადრების რაციონალურად გამოყენება და აგრომინიმუმისა და ზოომინიმუმის შესრულება.

11. რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დასახული გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს თავის დროზე მომზადება თესვისათვის, ამიტომ თვითვე საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამბანაგობაში და სოფლებში ჩატარებულ უნდა იქნეს თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა წინასწარ შედგენილი გეგმით გათვალისწინებულ კალენდარულ ვადებში.

12. აღინიშნოს, რომ ძირითადი სამუშაოები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის დამაკმაყოფილებლად ვერ არის შესრულებული; კერძოდ არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კოლმეურნეობებში სათესლე და დამზღვევი ფონდების შეგროვება, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება, კოლმეურნეობების მიწათ-მოწყობა და ნიადაგის შემზადება, ამასთან ერთად ყველგან, განსაკუთრებით კი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში, ემჩნევა ცოცხალი საწვე-ძალის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასება; აგრეთვე ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული საწვე-ძალის ორგანიზაციას. ყველა ამ ნაკლებოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებები.

13. მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებით 1931 წლისათვის უზრუნველყოფილი იქნეს საგლებო მეურნეობების კოლექტივიზაციის 30%-მდე ზიდწევა, საბჭოთა მეურნეობების სახნავ-სათესი მიწების

საერთო ფართობის 254.000 ჰექტარამდე გადიდება, ცალკეულ ლარებზე დასაშუალო გლეხურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერაციაში მთლიანად ჩაბმა და სამი ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა ტექნიკური კულტურების ძირითად რაიონებში.

14. საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის სწორი ხაზის ვატარებით, რაც უნდა გამოიხატოს მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიისა და პრაქტიკის აღმოფხვრაში, რომელიც საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში ეყრდნობა თვითმდინარებას და რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობის „ნებაყოფლობის“ საბაზით ხელს იღებს საკოლმეურნეო მისწრაფების ნამდვილ ორგანიზაციასზე; ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ რაიონებში კოლმეურნეობები არ არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, არ არის შრომის სწორი მოწყობა და სუსტად არის განვითარებული შრომის სოციალისტური მეთოდები (დამკერელობა, სოც. შეჯიბრება, შემხვედრი გეგმა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.), მთელ რიგ რაიონებში არ არსებობს საწარმოო თათბირები და არ ხორციელდება მუშაობა ლარებ გლეხთა მასებში და ქალთა შორის.

კოლმეურნეობრივ მოძრაობაში აგრეთვე თავს იჩენს „მემარცხენე“ გადახრები, რაც გამოიხატება ნებაყოფლობითი პრინციპებისათვის გვერდის ახვევით, კოლექტიურ მარტივ ფორმებიდან უმაღლეს-კომუნურ ფორმებზე გადახტომით, საშუალო გლეხთა მასებისათვის გვერდის ახვევით და ადგილობრივ ეკონომიურ ყოფაცხოვრების პირობებისათვის ანგარიშგაუწველობით, ყველა ამის გამო კოლმეურნეობრივ მოძრაობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ გადახვევას პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული გენერალური ხაზიდან, რაც თანადროული სოციალურ-კულტურული განვითარების ეტაპზე წარმოადგენს კოლექტივიზაციის ნამდვილი იდეის დამახინჯებას და აფერხებს მის სწორე გზით განვითარებას.

მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტობისა და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით და საკოლმეურნეო მოძრაობისათვის ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევით საბჭოები შესძლებენ ადგილებზე ბოლშევიკურად მოამზადონ და ჩაატარონ მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია და შეასრულონ მათთვის დასახული გეგმა.

15. საადგილ-მამულო და საკოლმეურნეო კოოპერატიული ორგანოების აპარატების მუშაობა თავიდან ბოლომდე გარდაქმნილ იქნეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასთან შეფარდებით.

16. ვაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანების განხორციელების მიზნით საბჭოების მუშაობა გარდაქმნილ იქნეს იმგვარად, რომ მათ გადაჭრით იბრუნონ პირი კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანებისაკენ და ნამდვილი საქმიანი ხელმძღვანელობა გააუწიონ კოლმეურნეობრივი მოძრაობის ახლად დაძარცვულ ტაღლებს.

17. ვინაიდან ვაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს აგრიტაციისა და მასიური მუშაობის ფართოდ გაშლა, მოხდეს ყველა საბჭოთა, სამეურნეო-კოოპერატიული, საკოლმეურნეო, პროფე-



სიონალური, კომკავშირისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის და სიტყვის ორგანოს მობილიზაცია.

18. რადგანაც მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის სოციალისტური მშენებლობის გიგანტური პროგრამის განხორციელების საქმეში საბჭოებმა უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი, მუშაობა მათ უნდა ჩაატარონ მუშათა კლასისა, კოლმეურნეობისა, ინდივიდუალური მეურნეობისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მობილიზაციის საფუძველზე. უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია და მოეწყოს საწარმოო საშუალებათა რაციონალური გამოყენება.

19. რადგან დიდი ნაკლებობა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კვალიფიციური კადრებისა, ხოლო შრომისტევადი კულტურების რაიონებში მუშა-ხელისაც, ამ ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად მოხდეს არსებული კვალიფიციური ძალებისა, და მუშა-ხელის უფრო მიზანშეწონილი განაწილება, პირველ რიგში — ბავშვისა და სხვა ტექნიკური კულტურების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონების უზრუნველყოფით.

ამავე დროს ჩატარებულ იქნეს დაბალი კვალიფიციაციის კადრების მასიური მოზაადება და მეურნეობაში მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ქალთა შრომა.

20. ვინაიდან კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ერთერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამიწათმოწყობო მუშაობის ჩატარება, საჭიროდ იქნეს ცნობილი ყველა სამუშაოს ყოველი გზით დაჩქარება ტერიტორიის ორგანიზაციისათვის, განსაკუთრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაიონებში.

21. გაზაფხულის თესვის გეგმის წარმატებით შესასრულებლად ფართოდ გაიშალოს ქალაქის საწარმოო დახმარება სოფლისათვის მუშათა ბრიგადების მოწყობით და სოფლად შრომის სოციალისტური მეთოდების ფართო გავრცელებით.

22. რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ფინანსებით უზრუნველყოფის მთავარ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის სახსართა მაქსიმალური მობილიზაცია (ფულადი სახსარი, შრომა, სალმშენებლო მასალა), ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოახდინონ ამ სახსართა გამოაშკარავება და მაქსიმალური მობილიზაცია.

23. ხეთწლედის მესამე წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წინაშე დასახულია მთელი რიგი ამოცანები, რომელთა განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება.

ყველა ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს შემწინეული ჩამორჩენილობის დაჩქარებით ლიკვიდაციას და სოციალისტური ტემპების მთლიანად და დამატებით განხორციელებას სულ ახალი და ახალი სოციალისტური გამარჯვების მოსაპოვებლად.

ამის გამო, სასოფლო საბჭოებმა, რომელთაც ამ საქმეში მთავარი როლის შესრულება ეკუთვნით, უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, პირი იბრუნონ

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისაგან, მტკიცეთ ებრძო-
ლონ მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას და თეორიას, როგორც მთავარ
საფრთხეს ეხლანდელ ეტაპზე, და აგრეთვე „მემარცხენე“ გადახრებს, მაქსიმა-
ლურად დარაზმონ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები პარტიის გენერა-
ლური ხაზის გარშემო და კულაკების შეზღუდვიდან, მთლიანი კოლექტივიზა-
ციის ნიადაგზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე გადასვლით
უზრუნველყონ წარმატებით წინსვლა სოციალიზმის სრული განხორციელები-
სათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის
მდივანი **ხ. თოდრაი.**

1931 წ. თებერვლის 19.
ტფილისი.

95. დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა .

საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების მსვლელობის შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელ-
მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების მე-VI ყრილობამ, მოსმინა რა ამხ. გ. დევ-
დარიანის მოხსენება საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების
შესახებ, აღნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა ბოლშევი-
კური გადაწყვეტა მოითხოვს ძირითად გარდატეხას კულტურული მშენებლობის
დარგში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძლიერამოსილი სოციალისტური შე-
ტევა მხოლოდ მაშინ მოგვემს დადებით შედეგებს, თუ მასთან ერთად ფართოდ
იქნება გაშლილი კულტურული რევოლუციის ფრონტიც.

მრეწველობის რეკონსტრუქცია, სამრეწველო-საფინანსო გეგმებისა და
მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის ბრძოლა, სოფლის მეურნეობის
ახალ, სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნა, საკოლმეურნეო მშენებლობის
ფართოდ გაშლა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კო-
ლექტივიზაციის საფუძველზე, ამწეავენ კლასობრივ ბრძოლას სოფლად და
ქალაქად (კულაკობის გააქტივება, მავნებლობა და სხვ.). კლასობრივი მტრის წი-
ნააღმდეგობის დაძლევის და სოციალისტური შეტევის ფრონტის კიდევ უფრო
ფართოდ გაშლის ინტერესები მოითხოვს მებრძოლ ტემპებს კულტურული რევო-
ლუციის პრობლემათა ბოლშევიკურად გადაწყვეტის საქმეშიაც.

ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის ფესვების ამოსაგდებად წარმოებული „უკა-
ნასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა“ და მასთან ერთად სოციალისტური ეკო-

ნომიკის საძირკელის აშენება მოითხოვს ახალ და ახალ სათანადოდ მომზადებულ პროლეტარულ კადრებს, რაც მოგვეცემს ქვეყნის კულტურულ-ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის საუკეთესო საშუალებას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრ. საქართველოს მე-VI ყრილობა საესებით იწონებს საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებას—მიმდინარე 1930-31 წ. სამოსწავლო წლიდან საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ, როგორც «გადამწყვეტ ნაბიჯს კულტურული რევოლუციის საქმეში» (სტალინი).

საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების გატარებისათვის წარმოებულ მუშაობაში საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობა აღნიშნავს შემდეგ მიღწევებს:

1. 1931 წლის 15 იანვრისათვის საქართველოს 50 რაიონში გახსნილი იყო 1.164 ახალი ჯგუფი, ნაცლად გეგმაში გათვალისწინებული 528 ჯგუფისა; გეგმა შესრულებულია 211,1⁰/₆.

2. ამავე რიცხვისათვის, ამავე რაიონებში პირველი საფეხურის სკოლებში ჩაბნული იყო 96.711 სასკოლო ჰასაკის ბავშვი, ნაცლად 94.740-ისა; გეგმა შესრულებულია 102,1⁰/₆.

3. ახლად გახსნილი ჯგუფების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის გეგმა დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. სკოლებში გაგზავნილია 1.968 ახალი მასწავლებელი.

4. ჩატარებულია მე-16 პარტყრილობის და მთავრობის დადგენილებათა პოპულარიზაცია—საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ. საყოველთაო სწავლების გეგმა დაყვანილია სოფლამდე. ჩამოყალიბებულია საყოველთაო სწავლების გატარების რესპუბლიკანური კომიტეტი, რაიონული შტაბები და სასოფლო საბჭოებთან ხელის შემწყობი კომისიები. ჩატარებულია პროფკავშირის, კომკავშირისა და ფართო საზოგადოებრივობის მობილიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს მშრომელთა მასების ინტერესის გაძლიერება საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებისადმი, რაც საშუალებას იძლევა კულტურულად ჩამორჩენილ ზოგ ნაცუმკირესობათა რაიონებში საყოველთაო სწავლების გატარების ვადა შემკირებულ იქნას 3 წლიდან 2 წლამდე.

5. გაუმჯობესდა მასწავლებელთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა (მოპარაგების მხრივ სოფლის მასწავლებლობა გათანასწოებულ იქნა ქალაქის მუშებთან, I-ლი საფეხურის მასწავლებელთა ხელფასი 50 მან. გაიზარდა 75 მან., მე-II საფეხურის მასწავლებელთა ხელფასი კი 75 მან.—95 მან.).

6. 1931 წ. 1 იანვრისათვის დამთავრებულია 75 ახალი სასკოლო შენობა, ხოლო შეკეთებულია 317.

7. თვალსაჩინოდ გაუმჯობესებულია ღარიბ ბავშვთათვის დახმარების აღმოჩენა: წიგნებით, რეკულებით, ფანქრებით, ფეხსაცმელ-ტანსაცმელით, ფულით და სხვა.

8. გაუმჯობესდა ცოცხალი კავშირი ადგილებთან: ინსტრუქტაჟი, ბრიგადები, გამოკვლევები, საყოველთაო სწავლების ათდღიური და ერთდღიური, სამზადისი კულტესტაფეტისათვის, თათბირები, კონფერენციები და პირველდაწყებით სკოლებში მუშაობის ხარისხობრივად გაუმჯობესების მიზნით კურსების მოწყობა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

9. თვალსაჩინო მიღწევებია სოფლის 1 საფეხურისა და კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლის საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მიმავლების საქმეში; ასეთივე შედეგია ნამდვილი პოლიტეხნიზაციის ჩატარების მიზნით 1 საფეხურისა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების ქარხნებთან, ფაბრიკებთან და საწარმოო ბაზასთან დაახლოების საქმეში.

10. აღსანიშნავია საქარხნო-საფაბრიკო და კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლების ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების გატარება ზოგიერთ ქალაქებსა და რაიონებში (ტფილისი, ქუთაისი, ზონი, ტყიბული და სხვა).

ამ მიღწევებთან ერთად ყრილობა აღნიშნავს შემდეგ დეფექტებსაც, რაც ხელს უშლიდა ამ საქმის კიდევ უფრო წარმატებით ჩატარებას:

1. სახელმწიფო გამომცემლობისაგან სკოლების სრულიად არადაამაკმაყოფილებელი მომარაგება წიგნებით, რვეულებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით, რაც საფრთხეს უქნის საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეს—პარტიის ამ მებრძოლ ამოცანას კულტურულ ფრონტზე.

2. მთავრობის დადგენილებათა უბეში დარღვევა კოოპერატიული ორგანოებისა და მომარაგების სახ. კომისარიატის მიერ მასწავლებელთა და მოწაფეთა მომარაგების საქმეში, განსაკუთრებით ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის მოწოდების მხრივ.

3. ზოგიერთ რაიონმასკომისა და რაიონული კოოპერატიული კავშირის მიერ მთავრობის დადგენილების შეუსრულებლობა მასწავლებელთა მომარაგების დარგში.

4. მთელ რიგ ორგანიზაციათა ბიუროკრატიული და ოპორტუნისტული მოპყრობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების დაფინანსების საქმისადმი.

5. ზოგიერთ ადგილას მთავრობის დადგენილების უბეში დარღვევა განკუთვნილ მეურნეთაგან კონფისკაციაქმნილი სახლების და სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან სახ. განათლების კუთვნილი შენობების გადაცემის შესახებ სკოლების საჭიროებისათვის.

6. ადგილობრივი კოოპერატიული ორგანოების მიერ სახკომსაბჭოს დადგენილების შეუსრულებლობა—სკოლებში ცხელი საუზმის მოწყობის შესახებ.

7. ნაკუმცირესობათა რაიონებში პედაგოგიური კადრების სიმცირე (თურქული, ოსური, ბერძნული და სხვ.).

8. პრესის არასაკმაო დახმარება კულტურულ ფრონტზე არსებული დეფექტების გამოსამჟღავნებლად და მასების მობილიზაციისათვის ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანის ირგვლივ.

9. ასაკ-გადაცილებულთა (11—15 წლ.) სრულიად არადაამაკმაყოფილებელი ჩაბმა სკოლებში (50 რაიონში 26.390 ბავშვიდან ჩაბმულია მხოლოდ 12.941, ანუ 49¹/₁₀).

10. სასკოლო მშენებლობის საშენი მასალით სუსტი მომარაგება.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეში აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრისა და მომავალი მუშაობის სწრაფი ტემპით წარმართვის მიზნით სრ. საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობა ადგენს:

1. გადასინჯულ იქნეს ნაცუმიციერსობათა იმ რაიონების საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების გეგმა, რომელნიც ვადაზე უფრო ადრე ასწრებენ გეგმის გატარებას.

2. დაუყოვნებლივ შესდგეს გეგმა მომავალი სამოსწავლო წლისათვის სასკოლო ქსელის გასაშლელად ახლად გასახსნელი ჯგუფებისათვის მოწაფეთა რაოდენობის აღნიშვნით.

3. შედგენილ იქნეს გეგმა 7 წლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლებას ჩასატარებლად იმ რაიონებისათვის, რომელნიც უკვე წელს ატარებენ საყოველთაო სავალდებულო სწავლებას 4 წლედის ფარგლებში.

4. ამ თავითვე მიეცეს დაკვეთა სახელგამს და კატეგორიულად დაევალოს მას, რათა მომავალი სამოსწავლო წელი სავსებით უზრუნველჰყოს საქირო წიგნებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით.

5. დამტკიცდეს გეგმა მომავალი 1931-32 სამოსწავლო წლისათვის ყველა 7 წლედების კოლმეურნეობათა ახალგაზრდობისა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებად გადაკეთების შესახებ.

6. მიღებულ იქნეს ზომები მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსების და ტექნიკუმების უკანასკნელი ჯგუფების ვადამდე გამოშვების საშუალებით მიმდინარე და მომავალი სამოსწავლო წლისათვის სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ნაცუმიციერსობათა რაიონებში.

7. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ადგილებზე მასწავლებელთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის შებღალფას, გამოიმუშაოდეს დამატებითი ღონისძიებანი მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

8. გამოიმუშაოდეს ორგანიზაციული ღონისძიებანი მასიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად და განათლების დარგში ერთიანი ფრონტით მუშაობის წარმოების მიზნით კულტურული მშენებლობის ერთიანი გეგმის შესადგენად.

9. გამოიციეს სავალდებულო დადგენილება პოლიტექნიზაციის სავსებით გატარების მიზნით—სკოლების, კარხნების, ფაბრიკების და კოლმეურნეობების სამოსწავლო ცეხებად გადაქცევის შესახებ.

10. გადამჭერი ზომები იქნეს მიღებული ასაკ-გადაცილებულ ბავშვთა სკოლებში ჩასაბმელად. გამოიძებნოს მატერიალური საშუალებანი ღარიბთა და-სახმარებლად.

11. შესდგეს სასკოლო მშენებლობის გეგმა 1931-32 წლისათვის. საშენი მასალით უზრუნველსაყოფად ფართოდ იქნეს გამოყენებული თვითდაბეგვრა და შინა-რესურსები. დაეგზავნოს ადგილებს I და II საფეხურის სკოლების შენობების ახალი სატიპო პროექტები. კატეგორიული წინადადება მიეცეს ადგილებს, რათა სასკოლო შენობები, რომელიც ამჟამად სხვა დაწესებულებებს უჭირავს, დაუყოვნებლივ გადასცენ სახალხო განათლების ორგანოებს. ამასთანავე განკუ-

ლაკებულ მეურნეობათაგან კონფისკაციაქმნილი სახლები დაუყოვნებლივ უნდა დაეკისრებინათ სასაკონო დაწესებულებებს.

12. მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით ეხლავე შესდგეს სასაკონო მშენებლობის საშენი მასალით უზრუნველყოფის გეგმა, აგრეთვე მასწავლებელთა და მოწაფეთა 1931-32 წ. მომარაგების გეგმა, და წარედგინოს იგი მთავრობას დასამტკიცებლად, რათა ყველა საჭირო ღონისძიება ხმარებულ იქნეს ერთი თვით ადრე სამოსწავლო წლის დაწყებამდე.

13. პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში ნამდვილი პოლიტეხნიზაციის გატარების მიზნით მიღებულ იქნეს ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სკოლების სათანადო მასალით და იარაღით უზრუნველყოფა.

14. რადგანაც საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ძლევამოსილი განვითარების საქმეში, ყრილობა მოუწოდებს საქართველოს მუშებსა და მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, კოლმეურნეებს, ახალგაზრდებს, წითელ-არმიელებს და მშრომელთა ფართო მასებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო სწავლების—კულტურულ რევოლუციის ამ ძირითადი საკითხის გადაწყვეტაში, ბოლშევიკურად გაანადგურონ კლასიური მტრების წინააღმდეგობა და ყველა სახის გადახრები, მოახდინონ შინა-რესურსების მობილიზაცია სკოლებში ნამდვილი პოლიტეხნიზაციის გასატარებლად, დაუყოვნებლივ ჩააბან ასაკ-გადაცილებულნი სკოლებში, შეასრულონ ილიჩის ანდერძი წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, ფართოდ გაშალონ მასიური მუშაობის ფორმები და მეთოდები, რათა უმოკლეს დროში დაეწიონ და გაუსწროთ კაპიტალისტურ მოწინავე ქვეყნებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის

თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის

მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. თებერვლის 19.

ტფილისი.

96. რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

ამიერ-კავკასიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

1. საქართველოს სსრ საბჭოთა მე-VI ყრილობა, მოისმინა რა ამხ. გ. ყუ-რულაშვილის მოხსენება ამიერ-კავკასიის სფსრ მთავრობის მუშაობის შესახებ, საესებით იწონებს მას.

2. ყრილობა სავსებით იწონებს ამიერ-კავკასიის მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ა/კ. ფედერაციის განმტკიცებისაკენ და რომელიც უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიანობას—ა/კ. ფედერაციის შიგნით რესპუბლიკების სოციალისტური ზრდის საფუძველზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ა/კ. მთავრობის სწორი სამეურნეო და სოციალური პოლიტიკის გამო ა/კ-ის ფედერაციაში შეწვავალ ერების პოლიტიკური კავშირი ვითარდებოდა ფედერაციის ეკონომიური ბაზისის და სამეურნეო სიძლიერის განმტკიცების მიმართულებით.

ნაცვლად ეროვნულ შუღლისა და შოვინისტურ ანტაგონიზმისა, რაც გაძლიერებული იყო თვითმპყრობელობისა, მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკების ბატონობის დროს, დღეს შექმნილია მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ამიერ-კავკასიის ერებისა.

3. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ა/კ. მთავრობის სამეურნეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ჩქარი ტემპების უზრუნველსაყოფად, მიეყვება მუშათა კლასისა და ღარიბ-საშუალო გლეხთა ფართო მასების ნიეთიერი და კულტურული დონის რეალურ ამაღლებისაკენ.

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას სახალხო მეურნეობა აპყავს უფრო მაღალ დონეზე და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის ჰქმნის საწარმოო-ტექნიკურ ბაზისს.

4. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ხუთწლედის პირველ ორ წელწადს ხუთწლიანი გეგმის დავალებანი საგრძნობი გადაპარბებით არის შესრულებული ძირითად მაჩვენებლებში:

ა) ხუთწლედის პირველ ორ წელწადს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნა 900 მილ. მან., ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 740 მილ. მანეთისა;

ბ) სოციალისტურმა მრეწველობამ ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში მოგვცა საერთო პროდუქციის ზრდა 1,2 მილიარდ მან. რაოდენობით. სამრეწველო წარმოების პროგრამა მეორე წელწადს უკვე შესრულებულ იქნა 68%-ით, წინააღმდეგ ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებისა. ამავე დროს დავალებანი მძიმე მრეწველობის დარგში შესრულებულ იქნა 73,3%-მსუბუქი მრეწველობაში კი—52,3%;

გ) 1929/30 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიების შედეგები მოწმობენ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მაჩვენებლები ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანად უახლოვდებიან ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებებს. ყველა კულტურების ნათესი არც გასულ წელს უდრიდა 2.335 ათას ჰექტარს, წინააღმდეგ 2.699 ათასი ჰექტარისა 1932/33 წლისათვის, ე. ი. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ნათესმა ფართობმა მოგვცა ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალების 86,5%-ით შესრულება. აქედან მარცვლულ კულტურებს ეკირათ 2.045 ათასი ჰექტარი, ე. ი. ხუთწლედის უკანასკნელი წლის პროგრამის 94,6%, ტენიკურ კულტურებს კი ეკირათ 211 ათასი ჰექტარი, ე. ი. უკანასკნელი წლის დავალებათა 55,8%.

ამიერ-კავკასიის სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კოლექტივიზაციისაკენ გადაპრით მობრუნების შედეგად ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალება კოლექტივიზაციის დარგში უკვე შესრულებულ იქნა 1931 წლის 1 იანვრისათვის (17,6%, წინააღმდეგ ხუთწლედის უკანასკნელი წლის 17,4%-ისა).

დ) ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც 1929/30 წელში ნის გზებზე იძლევა 8.98 მილ. ტონას და ნავთსადგურები კი—11,2 მილ. ტონას, იმის მაჩვენებელია, რომ ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებანი 1930 წელში უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული: რკინის გზაზე—12,6%ით და ნავთსადგურებში—2,5%ით.

ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა პროლეტარიატის კადრები, ძირითადად ლიკვიდაცია ექნა უმუშევრობას და რეალურად იწონა მშრომელთა ცხოვრების კულტურულ-მატერიალურმა დონემ.

სოციალიზმის განხორციელების გზაზე ამ უდიდეს გამარჯვებათა მოპოებაში გადაწყვეტ როლს თამაშობდა მუშათა კლასისა და კოლმეურნეების აქტიურობისა და შრომითი შემომქმედი ენტუზიაზმის უდიდესი ზრდა (სოც. შევიბრება, დამკვრელობა, შემხვედრი გეგმები), რის ნიშნის ქვეშაც ჩატარდა ხუთწლედის პირველი ორი წელი. საკავშირო კომ. პარტიის (ბ) მიერ წარმოებული სწორი ლენინური პოლიტიკის შედეგად სოციალისტურ აღმშენებლობაში მიღებულ ამ უდიდეს მიღწევებმა საშუალება მისცეს ქვეყანას შეეიდეს სოციალიზმის პერიოდში და 1931 წლისათვის დაისახოს ამოცანად სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება.

5. ყრილობა აღნიშნავს სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელ როლს ამიერ-კავკასიის სფსრ-ის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

სავესებით იწონებს რა ა/კ. მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საწარმოო საშუალებათა წარმოების მაქსიმალურ განვითარებისაკენ, საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობა ამიერ-კავკასიის მთავრობის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის ელექტროფიკაციის, ნავთის, ნახშირის, სამთო-ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განვითარება.

6. ყრილობა აღნიშნავს, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები საქმაოდ არ არის შესწავლილი და მთავრობის ყურადღებას მიაქცევს გეოლოგიურ-აღმოსაჩენ და სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობის შემდგომ გაფართოებისა და გაღრმავების აუცილებლობაზე, რათა უფრო საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი.

7. ყრილობა იწონებს მთავრობის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განვითარების დარგში.

წარმოების განსაზოვადებული ფორმის განვითარება ყრილობას მიაჩნია უმთავრეს პირობად სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ყრილობა იწონებს მთავრობის ყველა ღონისძიებებს, რაც მიღებულია მასიური კოლმეურნეობრივ მოძრაობის მეთაურობისა და ორგანიზაციულად მოწყობის დარგში და რაც ხელს უწყობს და შესაძლებლად ხდის რაიონების შრომის კოლექტიურ ფორმებზე მთლიანად გადასვლას.

8. საბჭოთა ხელისუფლების უდაო გამარჯვებანი სოციალისტურ აღმშენებლობაში უქველად იწვევენ კაპიტალიზმის ნაშთების გააფთრებულ წინააღმდეგობას ჩვენში.



კლასიური მტრების ამ წინააღმდეგობას ჩვენ წინ უნდა შევავებოთ კადრების უფრო გაძლიერებული სოციალისტური მუშაობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, დაუპირდაპიროდ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა, მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე.

9. მე-VI ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ფართო კოლექტივიზაციის ნიადაგზე უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე გარდატეხა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ტენზიკური კულტურების ფართობის გადიდების მხრით, კერძოდ: ბამბის, სუბტროპიკული კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების და სხვა, რისთვისაც ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა კაობიან ადგილების ამოსაშრობად და ურწყავი ველების მოსარწყავად.

10. ყრილობა ა/კ-ის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს ყველა იმ სიძნელეთა გადაჭრით გადალახვის აუცილებლობაზე, რაც წინ ეღობება საყოველთაო სავალდებულო სწავლის განხორციელებას, წერა-კითხვის უყოღინარობის ლიკვიდაციას, როგორც საერთოდ, ისე მასების პროფესიონალურ-ტენზიკური განათლების დონის ამაღლებას, პროლეტარული-სპეციალისტების და მეცნიერ მუშაკების კადრების მომზადებას და სახალხო განათლების მთელი სისტემის შეფარდებას სახალხო მფურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებთან.

11. ყრილობა იწონებს ა/კ-ის მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს მშრომელი ფართო მასების სოციალისტური აღმშენებლობისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩასაბმელად.

მე-VI ყრილობას მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებისათვის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია შემდეგშიც გადაწყვეტი ბრძოლის გაძლიერება ბიუროკრატის წინააღმდეგ, სახელმწიფო აპარატის გაწმენდის დამთავრება საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო და ბიუროკრატული ელემენტებისაგან, ფართო მასების თვითკრიტიკის განვითარება, გამოცოცხლება და განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ქვემდგომი ორგანოების—საბჭოების და აღმასკომებისა. ყრილობას აუცილებლად მიაჩნია მთავრობის ყურადღება მიაქციოს ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების უზრუნველყოფას ნივთიერი საშუალებებით და გამოცდილი მუშაკების კადრებით—მუშებიდან, კოლმეურნეებიდან, მოჯამაგირეებიდან და ლარიბ-საშუალო გლეხობიდან. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ქვემდგომი აპარატის განმტკიცებას, რისთვისაც მის მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნას მშრომელთა ფართო მასა. იმავე დროს ეს ორგანოები უფრო მკიდრით უნდა დაუახლოვდნენ მოსახლეობას და მათ მუშაობაში საესებით უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი ბიუროკრატული დამახინჯებანი.

12. ყრილობა, აღნიშნავს რა სერიოზულ მიღწევებს ა/კ-ის სფსრ-ის მეურნეობის და სოც.-კულტურულ აღმშენებლობაში, საჭიროდ სთვლის, რომ შემდგომი წინსვლა სოციალიზმის გზით აუცილებლად მოითხოვს სოციალისტური აღმშენებლობის წინაშე მდგომ ყველა სიძნელეთა გადალახვას, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კაპიტალისტურ გარემოცვით და აგრეთვე შინაური კაპიტალისტური ელემენტების სოციალისტურ აღმშენებლობისადი წინააღმდეგობით.

ყრილობა აღიარებს, რომ ყველა ამ სიძნელეთა გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების, თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და კულაკობის, — როგორც კლასის, — ლიკვიდაციის საფუძველზე მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე. აგრეთვე პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ მასების შრომითი ენტუზიაზმისა და უდიდესი აქტივობის გამოყენებით.

კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებით, ორ ფრონტზე ბრძოლით, როგორც მემარჯვენე ოპორტუნიზმის — ამ უდიდესი საფრთხის თანამედროვე ეტაპზე, ისე „მემარცხენე“ ნახტომების წინააღმდეგ, უპრინციპო მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკის და პარტიის გენერალური ხაზიდან ყველა გადახვევებისა და მათთან შემარცხებლობის წინააღმდეგ ბრძოლით შეესძლებთ ყველა სიძნელეთა გადალახვას, რაც წინგველობება სოციალისტური განვითარებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ჩვენს ქვეყანაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის

თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI ყრილობის

მდივანი ს. თოდრაია.

1931 წ. თებერვლის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 71 №-ში 1931 წ. მარტის 28.